

საქართველოს კანონი

„არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N45, 21.11.1997, გვ. 32) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და მე-6 მუხლს დაემატოს 1¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1¹. სავალდებულოს სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლას დაქვემდებარებული პირისათვის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 60 კალენდარული დღით ყოველ ერთ კალენდარულ წელში.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი